საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2016 წლის 11 მარტის
დადგენილება №1966

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან არსებულ
წარმოებასთან კავშირის საინოვაციო
სამეცნიერო-სასწავლო ცენტრის დებულებაში
ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2013 წლის 25 იანვრის №850 დადგენილებით მიღებულ წარმოებასთან კავშირის საინოვაციო სამეცნიერო-სასწავლო ცენტრის დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

- დებულების მე-2 თავს (ცენტრის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები) დაემატოს 2.13 პუნქტი შემდეგი რედაქციით: სტუ-ში ევროკომისიის ტემპუსის №544191 პროექტის „ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებისათვის სასტუმრო მეურნეობის მენეჯმენტის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების შემუშავება საქართველოში, აზერბაიჯანსა და მოლდავეთში“ შედეგების რეალიზაციისათვის, სასტუმროს მომუშავე პერსონალის პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბებისა და განმტკიცების მიზნით მოკლე და გრძელვადიანი სასწავლო კურსების/ტრენინგების ჩატარება:
  1. სასტუმრო პერსონალისა და უნივერსიტეტის შესაბამისი პროფილის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა სასერტიფიკატო მუდმივმოქმედი კურსები;
  2. ინგლისური, რუსული, ფრანგული და გერმანული ენების სასერტიფიკატო კურსები ტურიზმის ბიზნესში დასაქმებულთა, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთათვის;
  3. კომპიუტერული ტექნოლოგიების შესწავლის სასერტიფიკატო კურსები;
  4. აბიტურიენტთა მოსამზადებელი კურსები;
  5. ბუღალტრული აღრიცხვის სასერტიფიკატო კურსები.
- დებულების მე-3 თავის (ცენტრის ძირითადი სტრუქტურული ერთეულები) 3.1 პუნქტის ჩამონათვალს დაემატოს ბიზნესინკუბატორები და ტრენინგცენტრები.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე